ქალაქ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელს,

ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

ქალაქ ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭომ, რიგით მერვე სხდომაზე, რომელიც გაიმართა, ამა წლის 18 აგვისტოს, განიხილა შემდეგი საკითხები:

საკითხი 1. ქალაქის სკვერებში უფასო, ეკო, დასამუხტი საშუალებებით სკამების დამონტაჟებას, რომელსაც ექნება 24 საათიანი უფასო ინტერნეტი, ტურისტული რუკა, განათება და ქრ. კოდები.

<u>საბჭოს წევრების უმრავლესობის აზრით თანამედროვე მოთხოვნები აუციელებს ხდის ღია სივრცეებში ასეთი სერვისების არსებობას და ქალაქის სკვერებში მრავალფუნქციური სკამების დამონტაჟებას. აქვე გასათვალისწინებელია რომ ესკიზებზე აღნიშნული USB შესაერთებლები არ დაზიანდეს წვიმიან და ქარიან ამინდში და ალბათ სასურველია დაცული იყოს შესაბამისი მორგებული სახურავებით.</u>

საკითხი 2. ქალაქში ტროტუარების ყველა მხარეს, შშმ პირებისთვის ადაპტირებული ასასვლელების მოწყობის საკითხი.

<u>საბჭოს უმრავლესობის აზრით, ქალაქში, ქუჩის გადასასვლელების ოთხივე მხარეს უნდა მოხდეს შშმ პირებისთვის ადაპტირებული ასასვლელების მოწყობა და მომავალი წლის ბიუჯეტში სასურველია აისახოს ტროტუარების ადაპტირების საკითხი.</u>

საკითხი 3. ქალაქის მუნიციპალური ტრასპორტის გაჩერებების უმრავლესობის აღჭურვა ბილეთების აპარატებით.

<u>ტურისტული სეზონის გააქტიურებამ და ტურისტების რეკორდულმა რაოდენობამ ჩვენს ქალაქში, ბუნებრივია მნიშვნელოვნად გაზარდა ავტოტრანსპორტში მგზავრების რაოდენობა. ქალაქის სტუმრები, მათ შორის ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, რომლების მგზავრობენ მუნიციპალური ავტოტრანსპორტით და ბუნებრივია არ არიან ინფორმირებულები ბილეთების წინასწარ შეძენის შესახებ, ვერ ახერხებენ ავტობუსების ბილეთების შესაძენი ლოკაციების პოვნას. ავტობუსებში ადიან ისე, რომ ბილეთები წინასწარ არ აქვთ შეძენილი, ადგილზე ბილეთების ყიდვის იმედით. კონტროლიორების მოთხოვნაზე ბუნებრივია ისინი პასუხობენ, რომ ვერ იყიდეს ბილეთი და ბუნერივია უბილეთოებს უწევთ ტრანსპორტის დატოვება და ამას არაერთხელ შეუქმნია გაუგებარი და არასასურველი სიტუაცია მუნიციპალურ ავტოტრანსპორტში. სასურველია გამოიძებნოს ოპტიმალური საშუალება იმისთვის, რომ მარტივად გახდეს ავტოტრანსპორტის ბილეთები ხელმისაწვდომი ჩვენი ქალაქის სტუმრებისთვის. შესაძლებელია სხვადასხვა ვარიანტების გამოძებნა, მათ შორის მაგალითად, საბანკო ბარათებზე მიბმა ან სხვა.</u>

საკითხი 4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის საკითების განხილვის გაგრძელება.

<u>სხდომაზე ზემოაღნიშნული საკიხების განხილვის შემდეგ, სასურველია მომავალი წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესში, გათვალისწინებული იყოს ეს საკითები. მომავალი წლის ბიუჯეტის სხვადასხვა საკითხები ისევ იქნება დასმული მომავალ სხდომაზე.</u>

საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, საბჭოს სხდომაზე ჩვენი პოზიცია დავაფიქსირეთ, ჩვენი ქალაქის საახალწლო ნაძვის ხის ესკიზებთან დაკავშირებით, რომელიც შესყიდვის პროცედურების დაწყებამდე, ასევე ჩვენი თანაქალაქელების ჩართულობით აირჩევა. როგორც ვიცით, წინასაპროექტო მოკვლევაში ჩართული იყო ადგილობრივი და უცხოური კომპანიები, რომელთაც საბოლოოდ 4 ესკიზი წარმოადგინეს.

საბჭოს წევრების უმრავლესობამ მისი არჩვანი, სოციალური ქსელ ფეისბუქის მერიის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული 4 ვერსიიდან, ნომერ მესამეზე შეაჩერა.

ბატონო არჩილ, მრჩეველთა საბჭომ საკითხები განიხილა დისკუსიის ფორმატში. სხდომის შემდეგ მოსაზრებების გაზიარება გაგრძელდა დისტანციურ ფორმატში. საბჭოს სხდომაზე დასმული საკითხები და მოსაზრებები, სხდომის ოქმში იქნა ასახული.

პატივისცემით,

ქალაქ ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

თამარ გუდავა

22.08.2022